საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89“ INFORMATION CENTER LTD "KOLKHETI 89"

საქართველო, ქ. ჩხოროწყუ, 5000., ჭავჭავაძის 3.
ტელ: 598 552 441
ელ. ფოსტა: tvkolxeti89@yahoo.com.

Chavchavadze 3, Chkhorotsku town , 5000, Georgia.
tel: 598 552 441
e-mail: tvkolxeti89@yahoo.com

№6 *24 აპრილი 2024წ*

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს ბატონ კახა ბექაურს

საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89“-ის 2023 წლის ანგარიში

საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89“ (ავტორიზაციის ნომერი BR-1209) 2023 წლის საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს პერიოდს იანვარი-დეკემბერი, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კანონებით მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით

„კოლხეთი 89“ მაუწყებლობს მე-7-ე მეტრულ არხზე, 200 ვტ სიმძლავრით, სამაუწყებლო არეალი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორია. დადებული ხელშეკრულების თანახმად „კოლხეთი 89“ ჩართულია მედიაცენტრ „ღია აფხაზეთისთვის“ მულტიპლექსში.

სამაუწყებლო კომპანიის მიერ დადგენილ ვადებში ხდება რეგულირების საფასურის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმის შევსება და შესაბამისი ანგარიშსწორება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას" წარედგინა კანონით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისი ფორმით. გამოქვეყნებულია შესაბამისობის დეკლარაცია ვებ გვერდზე: kolkheti89.ge

შემოსავლების სამსახურს დადგენილ ვადებში წარედგინა კომპანიის ფინანსური დეკლარაცია და წლის განმავლობაში შესაბამისად დაფიქსირდა სახელმწიფოს მიმართ წარმოშობილი ყველა საგადასახადო ვალდებულება. აუდიტის დასკვნა თან ერთვის და გამოქვეყნებულია: kolkheti89.ge

საანგარიშო პერიოდში კომპანიის დაფინანსების წყაროებს შეადგენდა მხოლოდ: რეკლამა, საეთერო დროის გაყიდვა და განცხადებები.

საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89“ დღე-ღამის განმავლობაში 12 საათი მაუწყებლობს.

საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89“ წარმოებულ პროდუქცია შეადგენს: ,,დღის ამბები" ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10 წუთიანი საშუალო ქრონომეტრაჟით; ,,კვირის მიმოხილვა" კვირაში ერთჯერ 30 წთ; საინფორმაციო გამოშვება ,,სათვალე" 45 წთ, ყოველ კვირა დღეს. „კოლხეთი 89“-მ საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საინფორმაციო გამოშვებების გარდა მოამზადა გადაცემები რელიგიურ და ჯანმრთელობის თემაზე. სამაუწყებლო ბადე ძირითადად ივსება საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის მიერ მოწოდებული სერიალებით და გადაცემებით. გაფორმებულია ხელშეკრულება საავტორო უფლებათა ასოციაციასთან, რომლის ნებართვით ეთერში გადის მუსიკალური კლიპები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველკვირეულად ეგზავნება სამაუწყებლო ბადე. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-14-ე მუხლისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად ორგანიზაციის დირექტორის 2015 წლის 25 სექტემბრის N 129 ბრძანების საფუძველზე „კოლხეთი 89“-ში ფუნქციონირებს თვითრეგულირების მექანიზმი - საჩივრების განხილვის კომისია. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან შექმნილია ასევე სააპელაციო კომისია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჩივარი არ შემოსულა.

„კოლხეთი 89“-ის დირექტორი გახლავთ რუსლან ნაჭყებია. წლის ანგარიშს თან ერთვის აუდიტორული დასკვნა.

პატივისცემით, საინფორმაციო ცენტრი

შპს „კოლხეთი 89“-ის დირექტორი: /რუსლან ნაჭყებია/

.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89" ფინანსური ანგარიშგების შესახებ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შემსყიდველი: საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89

მიმწოდებელი: შპს „აუდიტი XXI"

საფუძველი: 2024 წლის 8 აპრილის ხელშეკრულება

შინაარსი

მოსაზრება	3
აუდიტორული მოსაზრება და მოსაზრების საფუძველი	3
ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
ფინანსური ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების მოკლე ახსნა-განმარტება	10

საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89
ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89“ 2023 წლის 31 დეკემბერსათვის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგებზე მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ საინფორმაციო ცენტრი შპს „კოლხეთი 89“ შემდგომში („კოლხეთი 89”) 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის ფინანსური მდგომარეობის (ბალანსი), საქმიანობის შედეგების, ფულადი სახსრების მოძრაობის, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, შპს“კოლხეთი 89”მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სათანადო საფუძვლების შესაბამისად, რაც ითვალისწინებს საქართველოს კანონის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების შესაბამისობას საერთასორისო სტანდარტებთან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა შპს „კოლხეთი 89“ და შპს „აუდიტი XXI“ შორის 2024 წლის 7 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა 2023 წლის ფინანსური ანგარშგების შემოწმების მიზნით აუდიტორულ მომსახურებას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად. აუდიტის ჩატარებისას ვხელმძღვანელობდით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ „ საქართველოს კანონის საფუძველზე არსებული ინსტრუქციების, ასევე ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი სტანდარტებით, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პროცედურებით. აღნიშნული სახელმძღვანელო აქტებით დაკისრებული ვალდებულებები აღწერილია **„აუდიტორის პასუხისმგებლობის“** განმსაზღვრელ ნაწილში.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებლები სუბიექტისაგან და არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით შესაბამისი ეთიკური ნორმების დაცვით, მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენს მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

შპს „კოლხეთი 89“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

შპს „კოლხეთი 89“ დარეგისტრირებულია 2003 წლის 19 მაისს ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რეგისტრაციის ნომერია 64/04-5/6-52. საზოგადოების დირექტორია რუსლან ნაჭყებია.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები(ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე, აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების კეთილსინდისიერად ასახვას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების, განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების(ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად და იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი

განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის.

შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

შპს „აუდიტი XXI“ გარიგების

პარტნიორი ეთერი გოგია

ქ. თბილისი, კრწანისი ქ. №16/1

17 აპრილი 2024 წელი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	283	9620	18206
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0	0
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0	0	0
მარაგები	0	0	0
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1140	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გასაყიდი ფასის მოდელით	0	0	0
ძირითადი საშუალებები	6056	0	0
მიწა	0	0	0
შენობა-ნაგებობები	0	0	0
სხვა ძირითადი საშუალებები	0	0	0
არამატერიალური აქტივები	0	0	0
საიჯარო აქტივი საკუთრების გადაცემის პირობით	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
სულ აქტივები	7479	9620	18026
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი	0	0	0
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	0	0	0
ბანკებისგან ნასესხები თანხები	0	0	0
სხვა ნასესხები თანხები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	0	0	0
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი (სს-ისთვის სააქციო კაპიტალი)	0	0	0
საემისიო კაპიტალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-2141	1840	1351
	0	0	0

გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	9620	7780	16855
სულ საკუთარი კაპიტალი		9620	18206
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7479	9620	18206

დირექტორი
ბუღალტერი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31.12.2023**	**31.12.2022**
ნეტო ამონაგები	9086	489
საქონლის გაყიდვიდან		0
მომსახურების გაწევიდან		489
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა		0
გაყიდვების თვითღირებულება	-4055	0
საწყისი მარაგები		0
მარაგების შესყიდვა		0
გადამუშავების დანახარჯები		0
საბოლოო მარაგები		0
საერთო მოგება		489
სხვა შემოსავალი		0
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი	-5312	0
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-1799	0
გაუფასურების ხარჯი:		0
ფინანსური აქტივები		0
მარაგები		0
სხვა არაფინანსური აქტივები		0
საპროცენტო შემოსავალი		0
საპროცენტო ხარჯი		0
დივიდენდად გაცემული არაფულადი აქტივის საბაზრო ღირებულების კორექტირება		0
ცვლილება ბიოლოგიური აქტივის გასაყიდ ფასში		0
სხვა ხარჯები		0
მოგება / ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	-2080	489
მოგების გადასახადის ხარჯი		0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-2080	489
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული	1840	1351
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	-240	1351
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა	- 61	0
გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა		0
ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	-301	1840

დირექტორი
მთ.ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31.12.2023**	**31.12.2022**
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	9086	0
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-9368	0
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-16290	0
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	0	0
გადახდილი მოგების გადასახადი	0	0
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-16572	0
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	0	0
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	0	0
სესხის (გაცემა) და შემდგომი დაბრუნება	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან	0	0
მიღებული პროცენტი	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	0	0
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებიდან	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	0	0
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა	0	0
სესხის ძირის გადახდა	0	0
სესხის პროცენტის გადახდა	0	0
დივიდენდების გადახდა	0	0
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	0	0
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	0	0
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში		0
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	16855	18206
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	283	16855

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

ახსნა-განმარტებები(მოკლე) ფინანსური ანგარიშგების შესახებ

შესავალი

საინფორმაციო ცენტრი „შპს კოლხეთი 89“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს ადგილობრივ მაუწყებელს ,საქარათველოს ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზებულია და მინიჭებული აქვს მაუწყებლის უფლება, ავტორიზაციის ნომერია BRN№1209 დაფარვის ზონაა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი და და მიმდებარე ტერიტორია.

საინფორმაციო ცენტრი „შპს კოლხეთი 89“-ის დირექტორია რუსლან ნაჭყებია. მაუწყებლის იურიდიული მისამართია: ჩხოროწყუ, სოფელი ლესიჭინე

შპს „კოლხეთი 89“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოსათვის შესაბამისად. საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ შპს „კოლხეთი 89“ არის ფუნქცინირებადი და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია.

ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მაუწყებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ, ყველა ეკონომიკური მოვლენა წარმოდგენილია შეფასებისა და აღიარების კრიტერიუმების გათვალისწინებთ.

საანგარიშგებო პერიოდი

ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდია 2023 კალენდარული წელი.

ზოგადი ინფორმაცია:

შპს „კოლხეთი 89“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რეგისტრირებულია ჩხორიწყუს რაიონული სასამართლოს მიერ 2003 წლის 15 მაისს, რეგისტრაციის ნომერია 64/04-5/ბ-52, საზოგადოების იურიდიული მისამართი და საქმინაობის ძირითადი ადგილია დაბა ჩხოროწყუ, ჭავჭავაძის ქ 3, საზოგადოების 60 პროცენტიანი წილის მესაკუთრეა თემურ ლაშხია (პ/ნ 48001005316), 40 პროცენტიანი წილის მფლობელია ნესტორ კაჭარავა (პ/ნ 48001004519). მისი ძირითადი საქმიანობაა სატელევიზიო მომსახურების მიწოდება.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციებით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკითა და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

შეფასების ვალუტა უნდა ატარებდეს სასარგებლო ინფორმაციას, რომელიც ასახავს საზოგადოებასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს.

შპს „კოლხეთი-89“ თავის ოპერაციებში ფუნქციონირებად ვალუტად იყენებს ქართულ ლარს,

რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოების ოპერაციებზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად საზოგადოება იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების, დებიტორული დავალიანებების, ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო ხარჯები, ფინანსური ინსტრუმენტების ბალანსში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოება გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილის აღიარება წყდება მაშინ, როდესაც საზოგადოება კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს, ან დაფარავს ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ძირითადი და არამატერიალური აქტივები

ნაყიდი და ნაწარმოები ძირითადი საშუალებების შემოსავალში აღება და შეფასება ხდება თვითღირებულებით: რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, დაბრუნებად გადასახადებს, ადგილამდე ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

შემოსავლები და ხარჯები

შპს „კოლხეთი 89“ მიერ 2023 წლის განმავლობაში მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 9086 ლარს. (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტიდან 4950 ლარი, ციფრული გადამცემი ანტენის იჯარიდან 3034 ლარი, სხვა შემოსავლები 1102 ლარი)

ხარჯები ანგარიშგებაში ასახულია ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით და შეადგენს 9368 ლარს(მ.შ. ხელფასი 5312 ლარი, კომუნალური გადასახადები 4024 ლარი, ბანკის მომსახურების 31,5 ლარი),

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებით (პირვადელი ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ხარჯი) საზოგადოების ანგარიშზე რიცხული ძირითადი საშუალებებია:

დასახელება	31,12,2023 წ
ვიდეო კამერა	960
მორიგე ოპერატორის კომპიუტერი	896
გადამცემი მწყობილობა	3 600
რადიო მიკროფონი	600
სულ	6056

დებიტორები და სხვა მოთხოვნები

დებიტორული დავალიანებები სტრუქტურული ერთეულის მიხედვით არ ირიცხება

ვალდებულებები და სხვა კრედიტორები

ვალდებულებები სტრუქტურული ერთეულის მიხედვით არ ერიცხება.

გადასახადების აღრიცხვა და დეკლარირება

საშემოსავლო გადასახადი

შპს „კოლხეთი 89“ საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ხელფასი და მასთან გათანაბრებული განაცემები;

2023 წელს ხელფასის სახით გაცემულია 5312 ლარი.შესაბამისი საშემოსავლო გადახდილია ბიუჯეტში.

ქონების გადასახადი

შპს „კოლხეთი 89“ ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ბალანსზე რიცხული ქონება.

2023 წლის ქონების გადასახადი შეადგენს 68 ლარს.

დირექტორი მთ.ბუღალტერი

Ruslan Natchkebia 48001006971

Digitally signed by Ruslan Natchkebia
Date: 2024.04.25 12:10:34